დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს განათლება

შეფასების თარიღები ---------- 24 და 25 მარტი

დასკვნის წარდგენის თარიღი ---------- 19 აპრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს ,განათლება
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	245436568

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. ბათუმი
იურიდიული მისამართი	ქ. ბათუმი, ქავთარაძის შეს.1, №20
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ბათუმი, გ. ბრწყინვალეს ქუჩა N103
საფოსტო ინდექსი	6000
დაწესებულების ვებ-გვერდი	https://www.imedi.edu.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	ganatlebab@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995 593) 90 16 00; (0422)27 20 71
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	გოშხეთელიანი ქეთევან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ტელეფონის ნომერი/ფაქსი	593901600
ელ-ფოსტა	ganatlebal@yahoo.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, თამარ მახარაშვილის ბრძანება MES 6 22 0000239003, 09.03.2022წ. - ,,ზოგადსაგანმანათლებლო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს სკოლა განათლებაში ვიზიტის შესახებ“
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	24 და 25 მარტი, 2022 წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ნოდარ ანგურიძე
წევრი (სახელი, გვარი)	ნინო მჭედლიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	მუხლი 8/ პუნქტი დ)	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	მუხლი 8/ პუნქტი ე)	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	მუხლი 8/ პუნქტი ვ)	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	.....
	2.8.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლა საუკეთესო პრაქტიკად ასახელებს არაფორმალურ განათლებას და ურთიერთობას პარტნიორ სკოლებთან. არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლაში მოქმედებს „მკითხველთა და კრიტიკოსთა კლუბი“ - https://kitxvadakritika.wordpress.com/ სამოქალაქო კლუბი – „პულსარი“ საბუნებისმეტყველო კლუბი - იმედის პულსარები. ასევე წრეები: ხატვისა და გამოყენებითი ხელოვნების წრე „პალიტრა“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რუსული ენის წრე; ინგლისური ენის წრე. გარდა ამისა, სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სკოლის კავშირს პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებთანაც ურთიერთობა პანდემიამ შეაფერხა. პარტნიორებს შორისაა ბაქოს კასპის ლიცეუმი, ამერიკული უნივერსიტეტი ბულგარეთში. და სხვა

დაწესებულების მისია	შპს განათლება მოწოდებულია საფუძვლიანად შეასწავლოს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანი, ხელი შეუწყოს მოზარდს, რომ მან ეფექტურად შეძლოს ერთ საგანში შესწავლილი ცოდნისა და გამოცდილების ტრანსფერი განსხვავებულ შინაარსობრივ კონტექსტში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს წიგნიერების, სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციების განვითარებას, რომელთა ფლობა მნიშვნელოვანია პიროვნების თვითრეალიზებისა და თვითდამკვიდრებისათვის. სკოლის მიზანია, კონკურენტუნარიანი, ტოლერანტი, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი მოსწავლეების აღზრდა, რომლებიც გამოხატავენ მზაობას ცხოვრების მოთხოვნებისადმი, სწორად განსაზღვრავენ საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივ, კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ ინტერესებს, მშობლიური ენის პრიორიტეტული როლის გათვალისწინებით შეძლებენ ევროპულ და საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირებას.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	წინა ვიზიტის დროს რეკომენდაციები არ ყოფილა გაცემული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 271	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს სკოლა განათლების სასკოლო-სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმების,, საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია სკოლის დირექტორის მიერ და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე 2021 წლის 9 სექტემბერს, ოქმი N1. სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია: • სკოლის მისია; • სასწავლო წლის კალენდარი; • დღის რეჟიმი; • დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა; • მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა); • სასკოლო საათობრივი ბადე და შემაჯამებელი დავალების რაოდენობა; • გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; • საგნობრივი კათედრები; • სადამრიგებლო პროგრამა; • ინკლუზიური განათლება; • ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი/ გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა; **საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება:** სასწავლო წლის კალენდარის მიხედვით, 2021-2022 სასწავლო წლის დაწყების თარიღია - 2021 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების 2022 წლის 15 ივნისი, გარდა I და XII კლასებისა, I კლასი სწავლას ასრულებს 2022 წლის 27 მაისს, ხოლო XII კლასი, 2022 წლის 20 მაისს. პირველი სემესტრი სრულდება 2021 წლის 29 დეკემბერს, მეორე სემესტრი იწყება 2022 წლის 17 იანვარს. სკოლაში სასწავლო კვირა ხუთდღიანია. თუმცა, განსაზღვრულია გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია სკოლამ 6 დღიანი კვირეული დატვირთვით წარმართოს სასწავლო პროცესი. სკოლაში სწავლა მიმდინარეობს ორ ცვლაში. I-IX კლასები სწავლას იწყებენ 9:15 საათზე, ხოლო X-XII კლასები - 13:05 საათზე. I – II კლასებისთვის გაკვეთილი 35 წუთიანია, დასვენება 10 წუთიანი, ერთი დასვენება (მეოთხე გაკვეთილის შემდეგ) 20 წუთიანია. III – XII კლასებისთვის გაკვეთილი 40 წუთიანია, დასვენება 5 წუთიანი, ერთი დასვენება (მეოთხე გაკვეთილის შემდეგ) 10 წუთიანია. **დისტანციური სწავლების ორგანიზება** სრულიად დისტანციური სწავლების მოდელის შემთხვევაში სკოლა სრულიად ითვალისწინებს, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბერის №95/ნ ბრძანების მე-6 მუხლით (მე - 3 და მე - 4 პუნქტი) წარმოდგენილ რეკომენდაციებს ელექტრონული სწავლების დროს გაკვეთილების ხანგრძლივობისა და რაოდენობის შესახებ. **სასკოლო სასწავლო საგნების ორგანიზება:** შპს განათლების ყოველი საფეხურის თითოეულ კლასში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივი ბადით განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგნები. არჩევითი საგნებიდან X და XII კლასებში ისწავლება გერმანული ენა, ხოლო XI კლასში დასავლური ლიტერატურა. გარდა ამისა, სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებით მომსახურებას, რომელთა შესახებ სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია სწავლების მიზნები, მეცადინეობისა და შეხვედრების ჩატარების გრაფიკი და სხვა. **სასწავლო რესურსები და სახელმძღვანელოები:** სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შპს განათლების მიერ არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა. **საგნობრივი კათედრები სკოლაში:** სასკოლო-სასწავლო გეგმაში გაწერილია საგნობრივი კათედრების სტანდარტული - ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ფუნქციები, მათ შორისაა - შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი, ზრუნვა მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის, რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით და ა.შ. ვბ **სადამრიგებლო პროგრამა,** რომელშიც მოცემულია კლასის დამრიგებლის მოვალეობები, სადამრიგებლო საათის პროგრამისა და სააღმზდრელო მუშაობის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა; შპს განათლების კათედრის დებულება; კათედრის სხდომის ოქმები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიურების შედეგად დასტურდება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	რომ საწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. სკოლა ძალისხმევას არ იშურებს მოსწავლის საჭიროებების დასადგენად და ამ საჭიროებათა აღმოფხვრა. სკოლაში 6 კათედრაა. 1. სახელმწიფო ენის კათედრა; 2. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; 3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; 4. მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა; 5. უცხოური ენების კათედრა; 6. სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა. კათედრების მიხედვით გადანაწილებულია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგნის მასწავლებლები - შესაბამისი საგნობრივი ჯგუფების მიხედვით. სკოლას შემუშავებული აქვს ,,კათედრის დებულება'', სადაც წარმოდგენილია საგნობრივი კათედრების მიზნები და ამოცანები, კათედრის წევრთა უფლებები, მოვალეობები და ფუნქციები. კათედრებს შემუშავებული აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები საგნების მიხედვით, ასევე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ნიმუშები და მათი შეფასების სქემები, მისაღწევი შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურებოდა შემაჯამებელი დავალება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ძირითადად, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ-ით დადგენილი გრძელვადიანი (საფეხურებრივი) და შედარებით მოკლევადიანი (კონკრეტული კლასის) მისაღწევი შედეგები და ესწრაფვიან მათ მიღწევას. სკოლას დაწყებული აქვს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება. საავტორიზაციო განაცხადთან ერთად სკოლამ ცენტრში წარმოადგინა რამდენიმე საგნის კურიკულუმი, თემატური მატრიცა და განხორციელებული კომპლექსური დავალების რამდენიმე ნიმუში, საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ზრუნავს რომ მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცოდნა უნარები და ღირებულებები. სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შემოწმებაში, გარდა ზემოთ აღწერილი აქტივობებისა, ასევე ეხმარება ე.წ. რეიტინგული წერები, რომლებიც, როგორც სკოლის დირექტორმა ახსნა, რეალურად დიაგნოსტიკური წერაა და არ ამართლებს სახელწოდება, არ გამოიყენება არანაირი რეიტინგისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა; კათედრის დებულება; წარმოდგენილი შესრულებული კომპლექსური დავალებები, კურიკულუმი და თემატური მატრიცები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან, მოქნილ, აკადემიურ და სოციალურ უნარებზე ორიენტირებულ სასწავლო აქტივობებს. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები და კლუბები: 1.„მკითხველთა და კრიტიკოსთა კლუბი“ - VIII-XI კლასელებისთვის. 2.„იმედის პულსარები“ - ბუნებისმეტყველთა კლუბი; 3.სამოქალაქო განათლების კლუბი”იმედი” ; 4.ინგლისური ენის წრე; 5.გახანგრძლივებული დღის ჯგუფი I-VI კლასებისათვის 6.რუსული ენის წრე 7.ხატვისა და გამოყენებითი ხელოვნების წრე „პალიტრა“, რომელიც გათვალისწინებულია I-VI კლასის მოსწალეებისთვის. მოსწავლეებს აქვთ კვებისა და დასვენების სათანადო შესაძლებლობა, კერძოდ, საუზმე 1-6 კლასის მოსწავლეებისთვის (სურვილის მიხედვით), სადილი გახანგრძლივებული ჯგუფის მოსწავლეებისთვის და გარდა ამისა, სკოლაში მოქმედებს ბუფეტი - მსურველთათვის, სადაც დაწესებულების განმარტებით, მხოლოდ ჯანსაღი საკვები იყიდება. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია კლუბების წესდებები, მათი ბლოგების, სოციალური ქსელის და ელექტრონული ფოსტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მისამართები. ასევე წრეების სწავლების მიზნები და მათი შეხვედრების განრიგი. ამ წრეებითა და კლუბებით გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და ინტერესები, რაც მათი განვითარების წინაპირობაა. ამასთანავე, განვითარების თანაბარი შესაძლებლობების მიზნით, სკოლა მოსწავლეებს უზრუნველყოფს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით და აქტივობებით. ამ ეტაპზე, სკოლაში არ ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმაში მაინც გაწერილია სსსმ მოსწავლის სწავლებისათვის სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ნუსხა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის წესი და ვადები, ინფორმაცია ისგ ჯგუფის შესახებ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირების ეტაპები. გარდა ამისა, სკოლას აქვს მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. სასკოლო სასწავლო გეგმა არეგულირებს სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესს, დასწრებას და გაცდენებს, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლების ძირითად ასპექტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა; ინტერვიუ.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შეფასების სისტემა იდენტურია ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების სისტემის. ამასთან ის აზუსტებს ისეთ საკითხებს, რომელებიც სასკოლო სასწავლო გეგმით უნდა იყოს გათვალისწინებული. კონკრეტულად, დაზუსტებული აქვს შემდეგი საკითხები: 1.შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი, რომლის მიხედვით შემაჯამებელი დავალების აღდგენა უნდა მოხდეს სემესტრის დასრულებამდე ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ამორიცხვის ბრძანების გამოცემამდე. 2.წლიური გამოცდები - სასკოლო სასწავლო გეგმა მიმდინარე სასწავლო წელს არ გეგმავს წლიურ გამოცდებს; 3.საშემოდგომო გამოცდები - საშემოდგომო გამოცდის შემთხვევაში სკოლა კონსულტაციებს გაუწევს მოსწავლეებს. საშემოდგომო გამოცდის ჩატარება კი, მიმდინარე სასწავლო წლისთვის დაგეგმილია 2022 წლის 30 ივნისიდან 15 ივლისის ჩათვლით. შეფასების სისტემის სხვა საკითხები რეგულირდება ეროვნული სასწავლო გეგმის ანალოგიურად, კერძოდ მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით: მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები), შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები). I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. მოსწავლეების შეფასება ხდება სხვადასხვა აქტივობების საფუძველზე - ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და ა.შ. მოწოდებული დოკუმენტაციის და სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიურების საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენებას. სასკოლო სასწავლო გეგმას ერთვის შეფასების ზოგადი სქემები და რუბრიკები. ამასთან, თითოეულმა მასწავლებელმა შესაძლებელია თვითონ შეიმუშაოს ინდივიდუალური შეფასების რუბრიკა და გამოიყენოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. მოსწავლეთა შედეგები განიხილება პედაგოგთა რეგულარულ შეხვედრებზე, აგრეთვე, კათედრის სხდომებზე, რის საფუძველზეც ხდება რეკომენდაციების შემუშავება და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების გზების ძიება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, კეროდ, elservicebi.com-ს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა; შეფასების სქემები და რუბრიკები; ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სადამრიგებლო პროგრამა ითვალისწინებს დამრიგებლის მიერ მოსწავლის მხარდაჭერას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის პროცესში. მასში გაწერილია დამრიგებლის მუშაობის პრინციპები და მოვალეობები და ითვალისწინებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ კომუნიკაციას მშობლებთან. შპს განათლების შინაგანაწესის მე-18 მუხლით და სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია დამრიგებლის მოვალეობები, რომელიც განსაწღვრავს დამრიგებლის მიერ მოსწავლის მშობლისთვის წლის დასაწყისში შინაგანაწესის, მოსწავლის ქცევის კოდექსისა და სხვა სასკოლო დოკუმენტაციის გაცნობას, ასევე დამრიგებელი ვალდებულია, მინიმუმ თვეში ერთხელ, მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის მშობელს, მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ. დამრიგებლებმა და მშობლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ გარდა ამისა მუდმივად აქვთ კომუნიკაცია ერთმანეთთან ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით, ასევე სოციალური ქსელებში დახურილი ჯგუფებისა და ტელეფონის საშუალებით. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლა ცდილობს აქტიურად ჩააბას მშობელი სკოლის ცხოვრებაში, თუმცა, ინტერვიუირებისას მშობლებმა ისიც აღნიშნეს, რომ ენდობიან სკოლას, იმდენად, რომ სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩარევის აუცილებლობას ვერ ხედავენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა; შინაგანაწესი; ინტერვიუ დირექციასთან და მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის, სწავლა სწავლების ხარისხისა და შიდა მონიტორინგის დებულება. ანიშნული დებულება ითვალისწინებს ხარისხის უწყვეტ სრულყოფას, სასკოლო მონიტორინგებისა და კვლევების ჩატარებას, მონაცემების შეგროვებას და გაანალიზებას, რომელიც მიზნად ისახავს მოცემული სიტუაციის შესწავლას და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ჩარევების განხორციელებას, მათ შორის სასკოლო გეგმის შეფასებას და სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე მის შემდგომ გაუმჯობესესებას. ზემოაღნიშნულ მონიტორინგს, რომელიც სკოლაში ხშირად ტარდება, ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში. მონიტორინგები ტარდება შემდეგი მიმართულებებით: სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი; კათედრების საქმიანობის მონიტორინგი; კლასის დამრიგებლების საქმიანობის მონიტორინგი; სკოლის შენობის სანიტარული მდგომარეობისა და უსაფრთხოების მონიტორინგი; სასკოლო დისციპლინის მონიტორინგი. თითოეულ მიმართულებაზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და მონიტორინგის ჩატარების დრო. სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგის ფარგლებში დგინდება სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში მიღებული ცოდნისა და უნარჩვევების სტანდარტთან მიღწევის შესაბამისობა ა) ჩატარებული გაკვეთილების ანალიზები; ბ) შემაჯამებელი წერებისა და კომპლექსურების ანალიზები; გ) რეიტინგული წერების ანალიზები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დ) დამატებითი მომსახურეობით გათვალისწინებული კლუბების, წრეების და სხვა აქტივობების მონიტორინგი. ამ მონიტორინგების შემდეგ, მონიტორინგის განმახორციელებელი წერს ანგარიშებს, ანგარიშებს წერენ ასევე კლასის დამრიგებლები და კათედრის ხელმძღვანელები, გარდა ამისა, სკოლაში ტარდება გამიკითხვები. ყოველივე ამ ინფორმაციას სკოლა იყენებს მომავალი სასკოლო სასწავლო გეგმის და არა მარტო სასწავლო გეგმის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს განათლების სასკოლო სასწავლო გეგმის, სწავლა სწავლების ხარისხისა და შიდა მონიტორინგის დებულება; კითხვარები; ხარისხის მართვის მენეჯერის, კათედრის გამგეების, დამრიგებლის ანგარიშები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს განათლება, საიდენტიფიკაციო კოდი **245436568**, მდებარეობს ქალაქი ბათუმი, გ. ბრწყინვალეს ქუჩა N103 (იურიდიული მისამართი ქ. ბათუმი, ქავთარაძის შეს.1, №20). აღნიშნულ მისამართზე, სკოლის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადაა 31.12.2029წ, ფლობს შენობა-ნაგებობას. შენობის საერთო ფართი **739.27** კვ.მ
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ბათუმი, გ. ბრწყინვალეს ქუჩა N103
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**05.27.33.006**
კვ.მ.	შენობა-ნაგებობის-**739.27**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • შენობის შიდა აზომვითი ნახაზი; • იჯარის ხელშეკრულება
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს განათლებაში ავტორიზაციის ვიზიტის განხორციელება და მატერიალური რესურსის შესახებ ინფორმაცია მიღებული იქნა მხოლოდ ონლაინ (დისტანციური) ჩართვის შედეგად, დაწესებულების წამომადგენლების დახმარებით, ვიდეოკამერის საშუალებით. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და დისტანციური დათვალიერების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების შენობა-ნაგებობაში 12 მოქმედი საკლასო ოთახია, 2 განაყოფის კლასი, 1 ხელოვნების კლასი, 1 ლაბორატორია (ფიზიკა, ქიმია-ბიოლოგია) 1 კომპიუტერული) კლასი, და სკოლის ფუნქციონირებისთვის საჭირო ადმინისტრაციულ ტექნიკური დანიშნულების ოთახები. საკლასო ოთახები აღჭურვილია სხვადასხვა ასაკის შესაფერისი ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, დაფებით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამით. ყველა საკლასო ოთახში არის დაფა და მონიტორი ასევე კარადა-თაროები და თვალსაჩინოებები. სკოლას გააჩნია 279 ერთეული მერხი და სკამი, თუმცა კლასებში განთვსებულია 244 ერთეული. დანარჩენი დასაწყობებულია. დერეფნებში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლას აქვს 5 პრინტერი, მათ შორის 1 ფერადი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება ინვენტარის შესყიდვისა და გადაცემის დოკუმენტები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას, მეორე სართულზე, აქვს მინი სპორტული დარბაზი, სადაც ჩოგბურთის მაგიდაა. მინი დარბაზი აივნის ტიპის ფართშია მოწყობილი, რომელსაც სამ მხარეს კედლები აქვს, ხოლო მეოთხე მხარეს კედელი სიმაღლეში ნახევრადაა ამოყვანილი და ზედა მხარე უსაფრთხოების მიზნით, დაცულია ბადით. გარდა ამისა, სკოლის ეზოში მოწყობილია სპორტული მოედანი სკოლაში არის 2 ჩოგბურთის მაგიდა. ბაგირი, ტანვარჯიშის სკამები, ბადმინტონი, ბურთები, ჭადრაკის დაფები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; სასაქონლო ზედნადებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში, შენობის პირველ სართულზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებისთვის ლაბორატორიაა მოწყობილი. ლაბორატორიაში მოწყობილია ონკანი ნიჟარით, მოწყობილია მაგიდა სადემონსტრაციო ცდებისთვის, ლაბორატორიული აღჭურვილობები განთავსებულია კარადებში. ლაბორატორიაში არის ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერი. განთავსებულია 20 ერთეული ლაბორატორიული მაგიდა. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვისა დოკუმენტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „განათლების“ სკოლაში, სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის შექმნილია აუცილებელი გარემო. კერძოდ, საკლასო ოთახები ნათელია და აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. სკოლას აქვს ელექტროენერგიის და წყლის მიწოდების უწყვეტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სისტემები. ისინი სკოლას მიეწოდება საქალაქო ქსელიდან. იჯარის ხელშეკრულების თანახმად, სკოლამ თავად უნდა გადაიხადოს კომუნალური გადასახადები. სკოლის შენობაში დამონტაჟებულია გათბობის სისტემა, სამივე სართულზე არის სველი წერტილები: გოგონების, ბიჭების, თანამშრომლებისთვის, ასევე სკოლის პირველ სართულზე - სსსმ პირებისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ -ჰიგიენური ნორმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; გადასახადის ქვითრები; იჯარის ხელშეკრულება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „განათლების“ სტუქტურული ერთეულია ბიბლიოთეკა, რომელიც ფუნქციონირებს სამკითხველო დარბაზთან ერთად და სკოლის პირველ სართულზეა განთავსებული. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით სარგებლობის წესები. სამუშაო განრიგი, ასევე გამოკრულია შესასვლელში. ბიბლიოთეკას აქვს ანბანური და ელექტრონული კატალოგი .საინვენტარო წიგნის მიხედვით ბიბლიოთეკაში განთვსებულია 2350-მდე წიგნადი ერთეული, რომელშიც შედის მხატვრული, მეთოდური ლიტერატურა და პერიოდიკა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში, გარდა აღნიშნული ლიტერატურისა, ასევე განთვასებულია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას გამოწერილი აქვს გაზეთი „ახალი განათლება“
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან შპს „განათლების“ „ბიბლიოთეკის დებულება“. საინვენტარო წიგნი წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. შენობის შიგნით კიბეებზე არის პანდუსები. სკოლის შენობაში არის ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ პირებისთვის. გარდა ამისა სკოლას აქვს რესურსოთახი და სასწავლო რესურსები სსსმ მოსწავლეებისთვის. შპს „განათლებას“ ამ ეტაპზე სსსმ/შშმ მოსწავლე არ ჰყავს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შპს „განათლებაში“ ფუნქციოინირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 15 კომპიუტერი. გარდა ამისა საკლასო ოთახებსა და ადმინისტრაციის ოთახებში განთავსებულია 20 კომპიუტერი და ლეპტოპი. ყველა საკლასო ოთხში დამონტაჟებულია მონიტორები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში დაკავშირებადია ინტერნეტთან ლეპტოპით ან მობილურით. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებ-გვერდი http://imedi.edu.ge/, სკოლის ელფოსტაა ganatlebab@gmail.com სკოლის ვებ-გევრდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, სკოლის შინაგანაწესი, ბიბლიოთეკისა და სასკოლო კლუბების შესახებ. სკოლა, ასევე საკომუნიკაციოდ წარმატებით იყენებს სოციალურ ქსელს: https://www.facebook.com/ganatleba.imedi/ შპს „განათლებას“ ვებ გვერდის შეუფერხებლად მომსახურეობის მიზნით ჰოსტინგი და დომეინი, ხელშეკრულების შესაბამისად, გაფორმებული აქვს შპს „ჯი-ემ-ემ სტუდიოსთან“
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება კომპიუტერების შესყიდვის და გადაცემის დოკუმენტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „განათლებაში“ დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთლობა. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „ხანძარსაწინაარმდეგო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები," რომელიც მიზნად ისახავს საგანგებო სიტუაციებში დროული და ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფას. მათ შორის, ხანძრის შემთხვევაში, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამის პირთა კოორდინირებულ ქმედებას ითვალისწინებს . შენობა აღჭურვილია თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით: განგაშის ღილაკებით, სახანძრო დეტექტორებით, ცეცხლმაქრებით, ნიშნულებით-საევაკუაციო გასასვლელების მითითებით. შენობაში ცეცხლმაქრები განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში. დანართი N1 განსაზღვრავს „სამისამართო ტიპის სახანძრო სიგნალიზაციის", კვამლის აღმომჩენი დეტექტორების განლაგებას. სკოლის შენობის სახურავი მუშავდება ცეცხლგამძლე და ანტისეპტიკური ხსნარით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; სასაქონლო ზედნადები -ცეცხლმაქრების დამუხტვაზე; „ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთოების უზრუნველყოფის მექანიზმები"
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის სამივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები. საევაკუაციო გეგმა დამზადებულია ბათუმის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგები სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-სახელმწიფო რეზერვების და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან	სკოლაში შემუშავებულია პირველადი სამედიცინო დახმარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დებულება. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, სადაც განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: მაგიდა, ტახტი, სააფთიაქო კარადა, სამედიცინო სასწორი, სიმაღლის საზომი, თერმომეტრი; ტონომეტრიფონეიდოსკოპი, გამადიდებელი ლუპა, ლახტი, რეზინის სათბური, შავი ბუშტი ყინულისთვის, სამედიცინო მაკრატელი, ნიღბი „პირით-პირიში“ სუნთვისთვის, საკაცე, მაცივარი. სამედიცინო კაბინეტში ასევე არის არანარკოტიკული, არასტეროიდული, ანთების საწინააღმდეგო, ცენტრალური მოქმედების ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები. სპაზმოლიზური, რეჰიდრატაციული, მუკოლიზური, ადგილობრივი გამოყენების ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები. ასევე, პირველადი მოხმარების წვეთები, ჭრილობის დასამუშავებელი საშუალებები, შპრიცები, შპადელები, ერთდჯერადი ხელთათმანები და სხვა საჭირო დამხმარე სამედიცინო საშუალებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება შპს „განათლება“ სამედიცინო კაბინეტის დებულება N01-03/20 20.09.2020
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს უსაფრთხოების სამსახურის მენეჯერი. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების “ შესაბამისად დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის უსაფრთხოებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, რომელიც გაგზავნილი და დამტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 28.07.2020.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს „განათლების“ სკოლის „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობების შიდა და გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება ვიდეოკამერებით. კამერებს მონიტორინგს უწევს უსაფრთხოების სამსახურის მენეჯერი. სკოლა კონტროლდება 11 კამერით. სკოლის შენობის შიდა სივრცის ვიდეოდათვალიერება ხდება 8 ვიდეოკამერის საშუალებით. რომლებიც დერეფნებისა და კიბის უჯრედებშია დამონტაჟებული. სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებს 3 კამერა. გარე კამერების პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; კამერების შესყიდვის ზედნადებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს იურდიული პირის წესდება და შინაგანაწესი. წესდებით განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურდიული მისამართი, საქმიანობის სფერო, საფინანსო წელი, სკოლის დამფუძნებლები, გადაწყვეტილების მიღების წესები, სკოლის დირექტორის ფუნქცია-მოვალეობები, ლიკვიდაცია და დასკვნითი დებულებები. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს და ფარგლებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას, შრომითი ურთიერთობის პირობებს, შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს; წახალისების ფორმებს. დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს, დასაქმებულისა და მოსწავლის ჩაცმულობის წესს განაცხადის/საჩივრის განხილვის წესს, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს, ექსკურსიის ორგანიზებას და დასკვნით დებულებებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. შიმაგანაწესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების მუშაობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მარეგულირებელი დოკუმენტები: პედსაბჭოს დებულება, კათედრის დებულება, დამრიგებლის დებულება, მშობელთან ურთიერთობის დებულება, ლაბორტორიით სარგებლობის წესი და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს ,,განათლების" წესდება; სკოლის შინაგანაწესი; სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები; დირექტორის ბრძანება სკოლის შინაგანაწესის დამტკიცებაზე
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი 2021/2022 წწ სამოქმედო და ექვსწლიანი 2016/2022 წლების სტრატეგიული გეგმები. ასევე წარმოადგინა ექვსწლიანი გეგმის კორექტირების დოკუმენტი, რითაც მოხდა, სკოლის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული სტრატეგიული მიმართულებების გადახედვა და შეცვლა, ახალი მოცემულობიდან გამომდინარე ექვსწლიან გეგმაში სკოლას თითოეული სტრატეგიული მიმართულებისთვის განსაზღვრული აქვს ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები, პასუხიემგებელი პირები, მონიტორინგი და შესრულების ვადები. პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა „მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა", რომელიც ითვალისწინებს სასწავლო გარემოს აღჭურვას სათანადო სასწავლო რესურსით; სკოლის შენობის გარემონტებას, ექიმის კაბინეტის აღჭურვას, მწვანესაფარიანი მინი დარბაზის აღჭურვას, მკითხველთა კლუბისთვის ფართის გამოყოფას, ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა წიგნებითა და კომპიუტერებით, და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სხვა. რაც შეეხება მის შემადგენელ (2021-22) ერთწლიან სამოქმედო გეგმას, განვითარების სტრატეგიული მიმართულება - მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაში სკოლა მოიაზრებს სკოლაში მიმდინარე რემონტის ჩატარებას, სკოლის ბიბლიოთეკის წიგნებით შევსებას, სასკოლო ინვენტარის განახლებას, მწვანესაფარიანი მინი დარბაზის მოწყობას და ა.შ. თითოეულ აქტივობას მითითებული აქვს ვინაა პასუხისმგებელი მის შესრულებაზე და ვინაა შემსრულებელი, ასევე მითითებულია შესრულების ვადები და შესრულების ინდიკატორი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; 2016-2022 წლების სტრატეგიული გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებილი აქვს სკოლის ,,საქმისწარმოების ერთიანი წესები", რომელიც მტკიცდება დირექტრის ბრძანებით და მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხორციელდება ამავე წესით. წინამდებარე წესი ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. საქმისწარმოების დროს სარეგისტრაციო ჟურნალებში ნუმერაციის ათვლა იწყება ყოველი წლის სექტემბერში, გარდა შრომითი ხელშეკრულებებისა, რომლის ნუმერაციის ათვლა იწყება ყოველი წლის ივლისის თვეში. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: ა)შემოსული დოკუმენტაცია; ბ)გასული დოკუმენტაცია; გ)შიდა დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში იწარმოება საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟრნალი, მოსწავლეთა ბრაძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილი ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავება ხორციელდება სკოლის ხელმძღვანელობით, საქმისმწარმოებლის მიერ. ყოველ ბლანკს გააჩნია სათანადო რეკვიზიტები. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია,ზონარგაყრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; მოსწავლეთა ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; ხელშეკრულებების სარეგისტრაციო საქაღალდე; შპს განათლება ერთიანი საქმისწარმოების წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსი. მართვის საინფორმაციო სისტემის e-school - ის მიხედვით სკოლაში 51 თანამშრომელია, მათ შორის 31 მასწავლებელი. გარდა მასწავლებლებისა, სკოლის თანამშრომლებს წარმოადგენენ: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, მთავარი ბუღალტერი, იურისტი, ფინანსური მენეჯერი, საინფორმაციო მენეჯერი, უსაფრთხოების მენეჯერი. სკოლის ექიმი, ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი (რომელიც ამავე დროს მასწავლებელიცაა, მისი საათობრივი დატვირთვა შეადგენს მხოლოდ 2 საათს კვირაში და ის დროებით ცვლის ძირითად ბიბლიოთეკარს, რომელიც იმყოფება შვებულებაში მშობიარობის დაბავშვის მოვლის გამო), მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი, დამლაგებელი, მუშა, მზარეული, კლუბებისა და წრეების ხელმძღვანელები. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია სკოლის შინგანაწესში.. მასწავლებელთა რესურსი საკმარისია სასკოლო საათობრივი ბადით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განსაზღვრული სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის საშტატო განრიგი; პორტირებული მონაცემები Eschool - ის ბაზიდან; შპს" სკოლა"მასწავლებელთა საათობრივი განაწილება; თანამშრომელთა ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	31
მოწვეული/მაძიებელი	1/1
პრაქტიკოსი მასწავლებლი / უსტატუსო	0 / 2
უფროსი მასწავლებლი	25
წამყვანი მასწავლებლი	2
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია 2 მასწავლებელი, რომელთაც სტატუსი არ გააჩნიათ. ეს მასწავლებლები დასაქმებული არიან, მათთან გაფორმებულია ხელშეკრულება „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შესახებ“ 2019 წლის 23 მაისის საქართველოს მთავრობის N241 დადგენილების 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე (იხ. სკოლის მიერ დამატებით გადმოგზავნილ საავტორიზაციო მასალებში), რომლის თანახმადაც 5. მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის შეუვსებლობის შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, საჭიროებიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>გამომდინარე, უფლებამოსილია პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც 2020 წლის 1 თებერვლიდან 2020 წლის 30 აპრილის ჩათვლით დარეგისტრირდა მასწავლებლის გამოცდაზე, დაასაქმოს მოცემულ პოზიციაზე ვაკანსიის შევსებამდე **უსტატუსოდ**.</u> თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას მუდმივად უნდა ჰქონდეს დადებული ვაკანსიის შესახებ განაცხადი, რათა ვაკანტური პოზიცია შეავსოს კვალიფიციური კადრით, რაზეც სკოლას მიეცა რჩევა. მასწავლებელთა პირადი საქმეებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია და შესაბამისობა დაკავებულ სტატუსთან. წარმოდგენილ დოკუმენტაციაშია, აგრეთვე, ცნობები ნასამართლობის შესახებ და ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დებულება; მასწავლებელთა პირადი საქმეები; Eschool - ის ბაზა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდება შპს შინაგანაწესის 24-ე მუხლის შესაბამისად, სადაც გაწერილია მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა შერჩევის წესები, შიდა და ღია კონკურსის გამოცხადების პირობები, კონკურსის გამოცხადების საჯაროობის უზრუნველყოფის პირობები, კანდიდატისთვის წამოყენებული საკონკურსო პირობები და კანდიდატის მიერ წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი. სკოლის შინაგანაწესში ასევე ასახულია შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები. შინაგანაწესი ასევე არეგულირებს თანამშრომელთა წახალისების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ფორმებს, მათ შორისაა: მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოვება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. თანამშრომელთა წახალისების საკითხს წყვეტს სკოლის დირექტორი. შინაგანაწესის 39-ე - 41-ე მუხლები მთლიანად ეთმობა დისციპლინური წარმოების წესს. მუხლებში დეტალურადაა აღწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და თვითოეულ გადაცდომის შესაბამისი დისციპლინური სახდელები, განმეორების შემთხვევაში გამკაცრებული სახდელის შესახებ, მაგრამ აღსანიშნავია, რომ შინაგანაწესით არ არის განსაზღვრული დისციპლინური დევნის განმახორციელებელი და დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უფლებამოსილი პირი/სტრუქტურული ერთეული, რის შესახებაც სკოლას მიეცა რჩევა, რომ განსაზღვროს შესაბამისი უფლებამოსილი პირები ან/და სტრუქტურული ერთეული. რაც შეეხება თანამშრომლებს (გარდა მასწავლებლებს) შინაგანაწესის მიხედვით, მათი მიღება ხდება დირექტორის გადაწყვეტილებით, კანდიდატთან გასაუბრების საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის დებულება მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის შესახებ; სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	შპს განათლების ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია საქართველოს შრომის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს განათლებაში შემუშავებულია „ადამიანური რესურსის განვითარების მექანიზმები“ და შექმნილია ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი და მისი დებულება. დებულების მიხედვით, აღნიშნული ჯგუფი, სქემის შესაბამისად, წლის განმავლობაში უფროს მასწავლებელს ესწრება მინიმუმ სამჯერ, წამყვანს მინიმუმ ორჯერ, ხოლო მენტორს - მინიმუმ ერთხელ და აძლევს მათ განმავითარებელ შეფასებას. გარდა ამისა, აღნიშნული ჯგუფი აფასებს მასწავლებლის ელექტრონულ პორტფოლიოში განთავსებულ, მისი საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციას. სკოლამ წარმოადგინა გაკვეთილზე დასწრებისა და მისი შეფასების კრიტერიუმები, ასევე განმავითარებელი შეფასების და ანალიზის ნიმუშები. ამასთან, სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც საკუთარ წლიურ ანგარიშში საუბრობს მოწვეულ სტუმრებთან გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებზე. სკოლაში შემუშავებულია დებულება, საუკეთესო მასწავლებლის, საუკეთესო მოსწავლის, საუკეთესო დამრიგებლის და საუკეთესო კათედრის ხელმძღვანელის შერჩევისთვის, რაც ასევე დადებითად აისახება სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის. გარდა ამისა, მასწავლებლები გადიან ტრენინგებს, ხშირად ფასიანს, თუმცა უკანასკნელ წელს გაიარეს და მიმდინარე წელსაც, გაივლიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	(დარეგისტრირებული არიან) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებულ უფასო ტრენინგებს, რაც ასევე ხელშემწყობი გარემოებაა სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის. შპს განათლების საქმისწარმოებელს გავლილი აქვს მასწავლებელთა სახლის მიერ ორგანიზებული ტრენინგი ,საქმისწარმოებელთა პროფესიული განვითარება" 17.03.2018 წელს
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს განათლება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; ადამიანური რესურსის განვითარების მექანიზმები; ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში; გაკვეთილზე დასწრებისა და განმავითარებელი შეფასების მასწავლებლებისთვის მიცემის დოკუმენტები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში, პედაგოგებსა და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით, მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შესაქმნელად. თანამშრომლებთან გასაუბრებით, ასევე დგინდება, რომ ნებისმიერი ინიციატივა და სიახლის დანერგვა მაქსიმალურად ხელშეწყობილია ადმინისტრაციის მხრიდან. რაც უკეთეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თანამშრომლობითი გარემოს შექმნის მოტივატორია კოლექტივის ნებისმიერი წევრისათვის. სკოლის ყველა თანამშრომელსა და მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს გამოკითხვებში, თავისუფლად გამოთქვას აზრი და გამოხატოს სურვილები, რაც გათვალისწინებული იქნება სკოლის მიერ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი დილის 9.15 საათიდან საღამოს 6 საათამდე სკოლაშია, დაკავებულია სხვადასხვა აქტივობით, დავალებებს სკოლაში ამზადებს, რაც კომფორტულია მშობლისთვისაც. იგრძნობა, რომ სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი მნიშვნელოვანი რგოლია საგანმანათლებლო პროცესში და მთლიანად სკოლაში განხორციელებულ საქმიანობაში. თანამშრომელთა გუნდი, რომელმაც იცის საკუთარი მოვალეობები და შესაძლებლობები, საფუძველია იმის, რომ სკოლაში იყოს დაცულობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრება. სასკოლო დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	1. სკოლას მუდმივად უნდა ჰქონდეს დადებული ვაკანსიის შესახებ განაცხადი, რათა ვაკანტური პოზიცია შეავსოს კვალიფიციური კადრით, რაზეც სკოლას მიეცა რჩევა. 2. ბიბლიოთეკარის საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით (2 საათი კვირაში), სკოლას მიეცა რჩევა, რომ მკითხველთა მომსახურეობის ხარისხის გაზრდის მიზნით, უმჯობესია ბიბლიოთეკარს არ ჰქონდეს საათობრივი დატვირთვა. 3. სკოლას მიეცა რჩევა, რომ განსაზღვროს დისციპლინურ დევნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განმახორციელებელი და დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე შესაბამისი უფლებამოსილი პირები ან/და სტრუქტურული ერთეული.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი. 19.04.2022.

(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 41

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.